პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 149 (18991) პარასკევი, 29 ივნისი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

29—30 ივნისს თბილისში გაიმართება რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრება

გარდავქმნით რა ადამიანის ცხოვრების კრიტერიუმებს, ამავე დროს საჭიროა ყველაფერი ვილონოთ მისი იდეურ-ზნეობრივი ამაღლებისათვის.

კ. ჩერნენკო

სიტყვის ძალა

პოლიტიკური სწავლება, მშრომელთა მარ- ...

პრესის მნიშვნელოვანი როლი

რაიონული და საქალაქო გაზეთები ჩვენი პრესის ყველაზე მასობრივი გამოცემებია. ახლა ქვეყანაში ისინი 3700-ზე მეტია, ხოლო საერთო საცალო ტირაჟი 36 მილიონ ეგზემპლარს აღემატება. ამ დღეებში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „რაიონული და საქალაქო გაზეთების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", რომელშიც აღნიშნულია, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, რაზმავენ მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის წარმატებული განხორციელებისათვის.

პრესის ეს მნიშვნელოვანი როლი მოწოდებულია იყოს პარტიული კომიტეტების ეფექტიანი ინსტრუმენტი რაიონებისა და ქალაქების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისადმი პოლიტიკური ხელმძღვანელობის განხორციელებაში, კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და მასების ორგანიზატორი, ადამიანების აღზრდის, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ქმედითი საშუალება. მაგალითად, მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის მშრომელებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს გაზეთი „ლენინეცი". ოპერატიულად და საქმის ცოდნით აშუქებს იგი ადგილობრივი ცხოვრების მოვლენებს, ...

„ПРАВДА"

28 ივნისის მოწინავე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის ამაღლების საკითხი.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ლენინურ კომკავშირს, რომელიც ახლა 42 მილიონ ჭაბუკსა და ქალიშვილს აერთიანებს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, იგი ქმედით მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებაში, თვითმმართველობის განმტკიცებაში. კომკავშირის ასეთი აქტიურობის უპირველესი პირობაა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ახალგაზრდული მოძრაობისადმი, რომლის ფორმები და მეთოდები პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შემოქმედებით ახალ შინაარსს იძენს, იხვეწება და მდიდრდება.

ამასთან, განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის მრავალპლანიანი ამოცანები, ...

... თობას, ამავე დროს ამაღლონ მომთხოვნელობა მისდამი, ამაღლონ მისი პასუხისმგებლობა სოციალიზმის ისტორიული ბედისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტორგანიზაციებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების იმ გადაწყვეტილებათა უთუო შესრულება, რომლებიც ეხება კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების, ახალგაზრდობის აღზრდაში მისი როლის ამაღლების საკითხებს, კიდევ უფრო აქტიურად ჩააბან კომკავშირი იმ მრავალმხრივ მუშაობაში, რომელსაც პარტია განსაზღვრავს როგორც განვითარებული სოცია- ...

... სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ამხანაგ ალესანდრო ნატას

გილოცავთ იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად არჩევას, გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში ამ პასუხსაგებ პოსტზე მშრომელთა ინტერესების, მშვიდობის, განიარაღების, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მზად არის კვლავაც განავითაროს მოძმე იტალიის კომუნისტურ პარტიასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა.

კ. ჩერნენკო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მთელი რესურსების გამოყენება წარმატების საწინდარია

რესპუბლიკაში ...

ქუშმარი-ტების გზაა

„ოდოლოგია 40" ...

თ. ალაძე,
თბილისის ქვრამიკული კომბინატის დირექტორი.

საჭიროა მთელი ჩვენი იდეოლოგიური, აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობა გადაჭრით ავიყვანოთ იმ დიდი და რთული ამოცანების დონეზე, რომლებსაც პარტია წყვეტს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში.

ე. შევარდნაძე

შთამომავლებს — სუფთა ჰაერი

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების მეცხრე ყრილობა

არის ნახევარი წლის გეგმა!

საქალაქო საბჭოს სესია

თბილისის სახალხო დეპუტატთა ...

რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრების წინ

დღეს [illegible] გვაქვს განვაცხადოთ, რომ დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობა ძირითადად დაფუძნებულია კომპლექსურ მიდგომაზე და ამჟამად იგი წარმოადგენს არა მხოლოდ თეორიულ პრინციპს, არამედ იდეურ-პოლიტიკური პრაქტიკის რეალურ ფაქტორს, გამოსახავს ადამიანის აღზრდის პროცესის დიალექტიკას. აქ ერთმანეთთან მჭიდროდ ურთიერთქმედებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ფაქტორები, ადამიანთა ცხოვრებისა და ყოფიერების პირობები.

რა გვაძლევს ამგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას? გამოვყოფ მხოლოდ ძირითადს: ჯერ ერთი, პარტიული ორგანიზაციები იდეოლოგიური საქმიანობის წარმართვისას ცდილობენ ზუსტად განსაზღვრონ ადამიანის ქცევისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ის თვისებები, რომელთა ფორმირებასაც დღის წე[illegible]

ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა კოორდინაცია, თანამედროვე პირობებში პროპაგანდის საშუალებათა ფართო გავრცელებისა და მათ ცალკეულ სახეობათა არათანაბარი განვითარების გამო მან განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აქტიურად ამკვიდრებენ ადამიანთა ურთიერთობაში სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებებს. ცხადია, ამ პროცესს დადებითთან ერთად მნიშვნელოვანი ნეგატიური მხარეც აქვს. კერძოდ ის, რომ ჩვენი იდეოლოგიური ზემოქმედების ობიექტი, რომელსაც გარკვეული დამოუკიდებლობა აქვს საინფორმაციო-პროპაგანდისტული არხის შერჩევაში, ყოველთვის სწორად არჩევს როდი აკეთებს, ყოველთვის ოპტიმალურად როდი განსაზღვრავს მიღებული ინფორმაციის თემატურ თანაფარდობას. სწორედ ამიტომაც კოორდინაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე — პრესის, რადიო-ტელევიზიის იდეოლოგიური ზემოქმედების შეხამება პროპაგანდისტთა, ლექტორთა, აგიტატორთა საქმიანობასთან კვლავ რჩება ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური საქმიანობის ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანად, მისი კომპლექსურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ განმსაზღვრელ პირობად.

უკანასკნელ წლებში დედაქალაქ[illegible]

ადამიანი — საზრუნავი უპირველესი

[illegible]

ამიტომაც დღეს მთელი ჩვენი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარვმართოთ გააზრებულად, თანამედროვე ადამიანის სულიერი მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, კომპლექსურად და კოორდინირებულად.

ნ. გურგენიძე,
საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი.

მოქმედების ორიენტირი

[illegible]

სიტყვისა და საქმის ერთიანობა კვლავ დარჩება ჩვენი მოქმედების ორიენტირად და ვცდილობთ ჩვენი გამოშვებული პროდუქციით კმაყოფილი იყვნენ თბილისელები.

ზ. ცქიტიშვილი,
საწარმოო გაერთიანება „თბილისრძის" მთავარი ინჟინერი, სემინარის ხელმძღვანელი.

სურათზე: თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" პარტიული კომიტეტის სხდომაზე იხილავენ საწარმოს პარტიული აქტივის კრების შედეგებს, სადაც კომუნისტებმა იმსჯელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიერ დასახული იდეოლოგიური მუშაობის სადღეისო ამოცანების შესრულების საკითხებზე.

ს. ქილაძის ფოტო.

ჩვენი ძირითადი მონაპოვარი

აი უკვე 20 წელია ძველთაძველ იყალთოში მოქმედებს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც საბჭოური სინამდვილის, ახალი ყოფისა და კულტურის დამკვიდრების კერად იქცა.

[illegible]

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის რიგგარეშე პლენუმზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. კ. უ. ჩერნენკომ განაცხადა, რომ „ეკონომიკას ვერ ავიყვანთ თვისებრივად ახალ დონეზე, თუ არ შევქმნით ამისათვის საჭირო სოციალურ და იდეოლოგიურ წანამძღვრებს". ჩვენი სოფლის საზოგადოებრივ ბაზისზე შექმნილი სახალხო უნივერსიტეტიც ამ ამოცანების სამსახურში დგას.

გ. შათირიშვილი,
იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ახლის ძიებისაკენ სწრაფვა

[illegible]

მის თბილისის ფილიალში წაიკითხა.

ვფიქრობთ, რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის დღევანდელი კრების მასალები კიდევ უფრო გაამდიდრებს და გაახალისებს პროპაგანდისტთა მუშაობას, ხელს შეგვიწყობს ეფექტურად ისე, რომ ჩვენი საქმიანობა მუდამ პარტიის მოთხოვნათა დონეზე იყოს.

დ. ფირადაშვილი,
რესპუბლიკური ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის პარტბიუროს მდივანი.

თეორიის საკითხები

საქართველოს სინამდვილე და ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები

[illegible]

28 ივნისი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები
საკდესი იუწყება

● იტალია

წინანდელი კურსით

იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის ა. ნატას გამოსვლა

რომი. აქ გაიმართა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ა. ნატამ.

შეეხო რა იტალიის კომპარტიის პოლიტიკას, მან, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტია კვლავინდებურად იბრძოლებს დემოკრატიის პირობებში იტალიის საზოგადოების განახლებისა და გარდაქმნისათვის. ა. ნატამ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ბირთვულ ეპოქაში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მშვიდობის დაცვას, ახლებური ურთიერთკავშირის დამყარებას მშვიდობის, სოციალიზმის, ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლასა და მშვიდობიანი თანაარსებობის სფეროში რეალურ საქმეთა მდგომარეობას შორის, დაძაბულობის შენელებას, შეწონასწორებულ და კონტროლსდაქვემდებარებულ განიარაღებას.

ჩვენ გვესმის, თუ რაოდენ აუცილებელია გადაიჭრას დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც აჩენს ახლანდელ რთულ პერიოდს მსოფლიოში, თქვა მან შემდეგ. ბირთვული ომი წარმოუდგენელია კაცობრიობის გონებისა და სინდისისათვის და მაინც საერთაშორისო დაძაბულობა არ ცხრება. იტალიელ კომუნისტთა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ იტალიის კომპარტია კვლავაც ილაშქრებს, რათა ქვეყანას თავისი წვლილი შეეტანა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

შემდეგ იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ილაპარაკა შინაპოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც იტალიაში შეიქმნა ევროპის პარლამენტის არჩევნების შემდეგ, და თქვა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმად გააანალიზებს კენჭისყრის შედეგებს, იმსჯელებს პოლიტიკურ დასკვნებზე, იტალიის კომპარტიამ რომ უნდა გამოიტანოს იმ წარმატებასთან დაკავშირებით, რომელიც ხელმძღვანელობამ „ისტორიულად" ცნო, აგრეთვე მმართველი კოალიციის სხვა პარტიების პოლიტიკური კურსის დამარცხებასთან დაკავშირებით.

ა. ნატამ განაცხადა, რომ თავის საქმიანობაში იტალიის კომპარტია კვლავინდებურად იხელმძღვანელებს პოლიტიკური გზით, რომელიც პარტიის უკანასკნელმა ყრილობებმა მოიწონეს.

● აშშ

მორიგი პროვოკაციული გამოხდომა

სან-ფრანცისკო. ამერიკის ოფიციალურ ხელისუფალთა აშკარა დისტურით ამერიკის რეაქციამ განახორციელა მორიგი პროვოკაციული გამოხდომა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის საარჩევნო კამპანიისათვის ხელის შეშლის მიზნით. ქალაქ სან-დიეგოში (კალიფორნიის შტატი) ჩაშალეს მისი წინასაარჩევნო მიტინგი.

კომპარტიის წარმომადგენელმა ფ. დევისმა ამ თავხედურ აქციას ქვეყნის კონსტიტუციის ღიად შეურაცხმყოფელი დარღვევა უწოდა და აღნიშნა, რომ მსგავსი მოქმედება აშკარა ცდაა ხელი შეუშალონ ამერიკის კომუნისტთა საარჩევნო კამპანიას, რომელიც სულ უფრო დიდ გაქანებას იძენს. მან ყურადღება მიაპყრო ულტრამემარჯვენე ძალებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების თანამზრახველ ურთიერთობას. ახლა სხვადასხვა რეაქციული დაჯგუფებები, ხაზგასმით აღნიშნა ამასთან დაკავშირებით ფ. დევისმა, ფართოდ იყენებენ რეიგანის ადმინისტრაციის ანტიკომუნისტურ რიტორიკას, რათა სახელი გაუტეხონ კომპარტიას.

კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა მიერ გამართული პრესკონფერენციის დროს აგრეთვე აღინიშნა, რომ ოფიციალური ხელისუფლები და ბურჟუაზიული პრესა ხალისით უთმობენ ტრიბუნას რეაქციონერებსა და ყველა ჯურის ცილისმწამებლებს. ამავე დროს კომუნისტთა საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა დევნისა და მათი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უხეში დარღვევის პირობებში.

ბოლო ამბები, ინფორმირებული მეთვალყურეების აზრით, იმის სრულ საფუძველს იძლევა, რომ ვილაპარაკოთ კოორდინირებულ ანტიკომუნისტურ პროვოკაციებზე, რომლებსაც ახორციელებენ ოფიციალური ხელისუფლები ამერიკის შეერთებული შტატების პირწავარდნილ რეაქციასთან მჭიდრო კავშირით.

● გფრ

ითხოვა გადადგომა

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეურნეობის მინისტრმა ო. ლამბსდორფმა (თავისუფალი დემოკრატიული პარტია) ფედერალურ კანცლერს ჰ. კოლს გაუგზავნა გადადგომის შესახებ ოფიციალური განცხადება, რომელიც მიღებული იქნა. ამას იუწყება აქ ბონის კაბინეტის წარმომადგენელი.

აღინიშნა, რომ კანცლერს განზრახული აქვს შეხვდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს და შესთავაზოს მას ლამბსდორფის პოსტიდან გადადგომა.

ლამბსდორფის გადადგომა გამოიწვია მისმა მონაწილეობამ ეგრეთ წოდებულ ფლიკის აფერაში. ეს სკანდალი შარშან მოხდა, როცა გამჟღავნდა უკანონო ფინანსური მანიპულაციებისა და დასავლეთ გერმანიის კონცერნების მიერ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელი რიგი წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეების, მათ შორის ახლანდელი კაბინეტის წევრების მოსყიდვის ფაქტები. საზოგადოებრიობის ზეგავლენით ბონის პროკურატურამ დაიწყო შესაბამისი ძიება. ლამბსდორფს ჩამოერთვა საპარლამენტო ხელშეუხებლობა. მას წაუყენეს ბრალდება, რომ იგი მონაწილეობდა შეღავათიანი გადასახადების მიცემის სანაცვლოდ ფლიკის კონცერნის „შავი სალაროდან" ქრთამის აღების საქმეში.

ფოტოფაქტი

ნიუ-იორკი. ეს რიგი ბრონქსის ერთ-ერთი საავადმყოფოს შენობის წინ რამდენიმე დღეს იდგა. 15 ათასამდე გაჭირვებული ამერიკელი მოთმინებით ელოდა საჭმლის უფასო დარიგებას, რისი ინიციატორებიც იყვნენ ადგილობრივი საქველმოქმედო ორგანიზაციები, იუწყება ადნ-ის სააგენტო.

უფასო შეჭამანდის დარიგება, ნახარშის სამზარეულოები, დამშეული ხალხის გრძელი რიგები — ყოველივე ეს ამ ბოლო წლებში ამერიკის ყოველდღიურ რეალობად იქცა. მართლაც, ყოველი ახალი დღე კვლავ და კვლავ ადასტურებს იმ უდავო ფაქტს, რომ სიღატაკე და შიმშილი მთელ ქვეყანას ედება. ასეთი მდგომარეობა რეიგანის ანტიხალხური, მილიტარისტული პოლიტიკის უშუალო შედეგია.

ადნ-სააგენტოს ტელეფოტო.

პრეზიდენტის გამჭვირვალე ნიღაბი

დღეს, ალბათ, არავის ახსოვს, თუ ვინ უწოდა პირველად ზაფხულს საერთაშორისო ცხოვრების „მკვდარი პერიოდი". ის კი ფაქტია, რომ ამას ახლანდელ ზაფხულზე ვერ იტყვი. საკმარისია თუნდაც ბოლო ორი კვირის ქრონიკათა უბრალო აღნუსხვა, რომ დარწმუნდე: დასავლელ პოლიტიკურ მოღვაწეებს, ფრანგული „მონდის" სიტყვით რომ ვთქვათ, „უჩვეულოდ გვიან მოუწევთ მაიკებისა და თხელი პერანგების ჩემოდნებში ჩალაგება". და ამერიკის პრეზიდენტიც, რომლის სიზარმაცე კარგა ხანია ჟურნალისტთა საყვარელ თემად იქცა, აქტიურობს — ტონს აძლევს ნატოს სესიას, შემდეგ ერთ კვირაში ორჯერ მართავს პრესკონფერენციას და რადიოთიც გამოდის, ბოლოს კი ოკეანის გაღმა მიემგზავრება და ნორმანდიის, ირლანდიის, ლონდონის ტელეეკრანებიდან არ ჩამოდის. ბუნებრივია, რომ პრეზიდენტის განრიგში განსაკუთრებული ადგილი ლონდონის უმაღლესი დონის შეხვედრას ეკავა.

დასავლეთის პრესის აზრით, სწორედ ამერიკის პრეზიდენტის ინიციატივით წამოიწია ლონდონში წინა პლანზე პოლიტიკურმა საკითხებმა და პირველ რიგში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობის პრობლემამ, ხოლო როდესაც პირველივე დეკლარაცია ხსენებულ საკითხს მიეძღვნა, გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმაც" კი ვერ დამალა გაოცება — „სულ ახლახან შვიდი სახელმწიფოს მეთაურთა წარმომადგენლები აცხადებდნენ, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის პრობლემები არც კი განიხილება ლონდონის თათბირზე", — წერდა იგი. მაინც, რამ განაპირობა პოლიტიკურ პრობლემათა უპირატესობა ლონდონში? აი რას ვკითხულობთ პოლიტიკურ დეკლარაციაში: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საერთაშორისო პრობლემები და კონფლიქტები შეიძლება და უნდა გადაიჭრას კიდეც დასაბუთებული დიალოგისა და მოლაპარაკების საფუძველზე. ჩვენ ყველა ღონისძიებას ვიღებთ ერთობლივ ამ მიზნის განსახორციელებლად". აქვე უხვად არის მაღალფარდოვანი სამშვიდობო რიტორიკა. არადა, არცთუ დიდი ხნის წინათ იმავე ლონდონში, პარლამენტის ტრიბუნიდან, ამერიკის პრეზიდენტმა არაორაზროვნად უარყო საბჭოთა კავშირთან და საერთოდ სოციალისტურ ბანაკთან ყოველგვარი დიალოგის იდეა და „ჯვაროსნული ლაშქრობა" გამოაცხადა. რა მოხდა? იქნებ კომუნიზმის სიძულვილის წინააღმდეგ შეიცვალეს? სულაც არა. მოკავშირეებს „უფლება აქვთ" უკმაყოფილონი იყვნენ ვაშინგტონის პროვოკაციონიზმით, „შეშფოთება" გამოთქვან გრენადაში, ლიბანში, ცენტრალურ ამერიკაში „გაუმართლებელი სამხედრო აქციების გამო", მაგრამ ოფიციალური დოკუმენტი „ვერ იტანს" ბლოკის შიგნით უთანხმოებას, უფრო სწორედ, ანტიამერიკანიზმს. ეს მოკავშირეებსაც კარგად ესმით და იციან სად გადის ზღვარი ვაშინგტონის კრიტიკას. საინტერესოა, რომ თვით ამერიკელმა მიმომხილველებმა მაშინვე აღნიშნეს პოლიტიკურ დეკლარაციასა და რეიგანის უკანასკნელ გამოსვლებს შორის არსებული „საოცარი მსგავსება". თუ იუნაიტედ პრეს ინტერნეშენელ სააგენტოს ვენდობით, ლონდონში გამართულ პრესკონფერენციაზე ვაშინგტონის ადმინისტრაციის „მაღალი თანამდებობის პირს" ოფიციალურად განუცხადებია, ხსენებული დეკლარაცია შემობრუნების პუნქტია ამერიკის ადმინისტრაციის მსოფლმხედველობაში.

რამ განაპირობა ეს ეგრეთ წოდებული „შემობრუნება"? უწინარეს ყოვლისა ამან, რასაც კ. უ. ჩერნენკომ გაზეთ „პრავდის" კითხვებზე გაცემულ პასუხში უწოდა „მოსაზრებანი, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებთან არის დაკავშირებული". ამავე აზრისაა იაპონური „ასაჰიც", რომელმაც ლონდონის შეხვედრის შემაჯამებელ წერილში ასეთი ლაკონიური შეფასება მისცა ვაშინგტონის „ახალ სამშვიდობო სტრატეგიას": „ამერიკის შეერთებული შტატების მოწოდება დიალოგისათვის სკეპტიკურად აღიქმება, ვინაიდან მას მხოლოდ არჩევნებისწინა ბრძოლა უდევს საფუძვლად. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხში, არავითარი ცვლილებები არ მომხდარა რეიგანის პოზიციაში", ფრანგული „კოტიდიენ დე პარი" კი გულახდილად დასძენს, რომ „ლონდონში დელეგაციები შეთანხმდნენ ხელი არ შეუშალონ რეიგანს არჩევნებში".

კარგად არის ცნობილი, რომ არჩევნები დიდმნიშვნელოვანი მომენტია ნებისმიერი პრეზიდენტობის კანდიდატისათვის, ხოლო თუ პრეზიდენტი ოვალურ კაბინეტში დარჩენისათვის იბრძვის, ეს უკვე პირველხარისხოვან პრობლემად იქცევა. რეიგანის გასაჭირს ისიც განაპირობებს, რომ მას დღეს არ შეუძლია ლუვრის ცნობილი პატრონივით ამაყად აიგდოს საზოგადოებრივი აზრი და თქვას, „სახელმწიფო — ეს მე ვარ". საზოგადოებრივი აზრი თავის ხარკს მოითხოვს, და რაც უფრო იზრდება ბირთვული კატასტროფის საფრთხე და სოციალისტური ბანაკის კონკრეტულ სამშვიდობო ინიციატივათა პოპულარობა, მით უფრო მძიმდება ეს ხარკიც. ჯერ კიდევ არ დამცხრალა დასავლეთ ევროპაში „შეზღუდული ბირთვული კონფლიქტის" ვაშინგტონისეული კონცეფციით გამოწვეული აღშფოთება და პრეზიდენტი რეიგანი ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ მებრძოლ ექიმთა მეოთხე საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებისადმი გაგზავნილ მიმართვაში პათეტიკურად აცხადებს, „ბირთვულ ომში გამარჯვება შეუძლებელია და იგი უნდა აიკრძალოს". სულ რამდენიმე თვის წინათ ამტკიცებდა, „სამხედრო ძალის ყველა მაჩვენებლით საბჭოთა კავშირი გვასწრებს", დღეს კი „დიდსულოვნად" აღიარებს „ზოგიერთ სფეროში ამერიკის შეერთებული შტატების წინო".

სპეციალისტებს სამართლიანად მიაჩნიათ სამხედრო ბიუჯეტი უტყუარ ბარომეტრად, რომელსაც საშუალოდ გამოაქვს სამხედრო სფეროში მთავრობის კურსის არსი. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ იმავე ლონდონის თათბირზე ვაშინგტონმა ტაბუ დაადო თავის სამხედრო ასიგნებათა პრობლემას და ამის თაობაზე კრინტიც არ დაუძრავთ. სწორედ აქ იჩენს თავს დასავლეთევროპელ მოკავშირეთა უმწეობა: სანამ ისინი უფროსი მოკავშირის გამალებული შეიარაღების კურსის ფარვატერში არიან, იძულებული იქნებიან ამ კურსის ნეგატიური დივიდენდებიც გაინაწილონ. ტყუილად არ უწოდა კ. უ. ჩერნენკომ „გაუმაძღარი მანქანა" გამალებულ შეიარაღებას.

ლონდონიდან დაბრუნებისთანავე რეიგანი შეხვდა კონგრესში რესპუბლიკელთა ლიდერებს და კატეგორიულად მოსთხოვა ხელუხლებლად დატოვონ სამხედრო ბიუჯეტი. როგორც ცნობილია, წარმომადგენელთა პალატამ და სენატმა უკვე მოიწონეს ბიუჯეტის საკუთარი პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საბოლოო გადაწყვეტილება კონგრესის საბიუჯეტო შემთანხმებელმა კომისიამ უნდა მიიღოს. ცნობილია ისიც, რომ პროექტის სწორედ სამხედრო ხარჯები იქცა დავის საგნად. მომავალი წლისათვის პენტაგონმა რეკორდული სამხედრო ხარჯები — 313,4 მილიარდი დოლარი დაგეგმა. სენატმა უმნიშვნელო შესწორებით მოიწონა სამხედრო ბიუჯეტი, წარმომადგენელთა პალატამ კი სამჯერ შეამცირა ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი სამხედრო ხარჯების ზრდის ტემპი. ზემოხსენებული შეხვედრის შემდეგ სენატში რესპუბლიკელთა ლიდერმა ბეიკერმა პირდაპირ განუცხადა ჟურნალისტებს „პრეზიდენტს არავითარი განზრახვა არა აქვს სამხედრო ხარჯები შეამციროს". ეს უკვე კონკრეტული ფაქტია.

ლონდონის თათბირის შედეგებით „გართულმა" ბევრმა მიმომხილველმა „ვერ მოიცალა" მეორე თათბირისათვის, რომელიც პარიზში გაიმართა შვიდი ევროპული სახელმწიფოს (ინგლისის, საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ჰოლანდიის, ბელგიის, ლუქსემბურგის) საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით. ეს ქვეყნები დასავლეთ ევროპის კავშირის — ამერიკის სამხედრო და სამხედრო-სამრეწველო წრეებთან ახლო მდგომი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის — წევრები არიან. საინტერესოა, რომ ამ ორგანიზაციის თავდაპირველ ამოცანად „ღერძის" სახელმწიფოთა ომისშემდგომი ხელახალი შეიარაღების შეზღუდვა ითვლებოდა, ახლა კი, ინგლისური „გარდიანის" აზრით, სწორედ ორგანიზაციის გააქტიურება აღმოფხვრის უკანასკნელ ბარიერებს, რომლებიც აფერხებენ დასავლეთ გერმანიაში იარაღის ფართო მასშტაბით წარმოებას. მომავალი შეხვედრა რომშია დაგეგმილი, სადაც ლაპარაკი იქნება უკვე კოლექტიურ იარაღზე და იარაღის წარმოების სფეროში თანამშრომლობის გაფართოებაზე. ესეც კონკრეტული ფაქტია.

ანალოგიური ხასიათის კიდევ მრავალი მაგალითი მოწმობს, თუ რა ფასი აქვს ლონდონის დეკლარაციას, რომელიც ვერ შენიღბავს იმ უცილობელ მთავარ ფაქტს, რომ ვაშინგტონმა და ნატომ შეძლეს გამალებული შეიარაღებით, მოლაპარაკებათა ჩაშლით, სამხედრო ავანტიურებით, პროპაგანდისტული დივერსიებით მკვეთრად გაეუარესებინათ საერთაშორისო კლიმატი, გაეძლიერებინათ ბირთვული ომის საფრთხე, და რომ ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით საეჭვო, ძალზე საეჭვოა ასეთი კურსის მომავალი. თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების დეკლარაციაშია აღნიშნული, „პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება მსოფლიოში ახლა განსაკუთრებით ეხება ყველა ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს".

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

ივანე ზაქარიას ძე სამადალაშვილი

58 წლის უეცრად გარდაიცვალა სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის დამსახურებული პილოტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აეროფლოტის წარმომადგენელი სოფიაში ივანე ზაქარიას ძე სამადალაშვილი.

წავიდა ჩვენგან წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი, შესანიშნავი პილოტი, ერთგული ადამიანი საბჭოთა სამშობლოსი და კომუნისტური პარტიისა, რომლის რიგებშიც იყო იგი 1961 წლიდან.

ი. ზ. სამადალაშვილი დაიბადა 1926 წელს ქალაქ თბილისში, მუშის ოჯახში. 1944 წელს მოხალისედ შევიდა საბჭოთა არმიის რიგებში. პილოტთა სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში, სადაც გაიარა გზა რიგითი პილოტიდან სამმართველოს უფროსამდე. 1974 წელს დაამთავრა სამოქალაქო ავიაციის აკადემია. დიდი წვლილი შეიტანა სამოქალაქო ავიაციაში რეაქტიული ტექნიკის ათვისებასა და ექსპლოატაციაში, საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის განვითარებაში.

ი. ზ. სამადალაშვილს ჰქონდა საფრენოსნო მუშაობის მდიდარი გამოცდილება, დიდი ორგანიზატორული ნიჭი. იგი ცამეტი წლის განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს კოლექტივს, აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, არჩეული იყო სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXIV, XXV, XXVI ყრილობების დელეგატად, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრად.

ყველა პოსტზე იგი იჩენდა დიდ პარტიულ პრინციპულობას, მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და ხელქვეითებისადმი, გულისხმიერებასა და ყურადღებას ადამიანებისადმი. მათ შორის დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა ი. ზ. სამადალაშვილის ღვაწლი სამოქალაქო ავიაციის განვითარებაში, მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მრავალი მედლით.

ივანე ზაქარიას ძე სამადალაშვილის, კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, გულისხმიერი მეგობრისა და ამხანაგის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ე. ა. შევარდნაძე, ბ. ა. ბუზაევი, ა. გ. ბილაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი, გ. დ. გაბუნია, ი. გ. ხაზარაძე, ბ. ზ. ბარისუკოვი, გ. ა. ანჩაბაძე, ი. ფ. ვასინი, ვ. დ. სამორუკოვი, ა. ი. ზედგინიძე, ი. ე. ხურავკოვი, გ. ნ. ცქვიტინიძე, გ. რ. ჩიტალაძე, ო. ი. ეჯიბაძე, ი. ე. ბურდული, გ. პ. ხილაძე, კ. დ. კურტანიძე, ა. ზ. ბარდაფხაძე.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო და ავიამუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ავიატორი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის დამსახურებული პილოტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1961 წლიდან სკკპ წევრი
ივანე ზაქარიას ძე სამადალაშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კადრების სწავლება

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში დამთავრდა სამინისტროებისა და უწყებების პარტიული კომიტეტების მდივანთა სწავლება. ისინი სწავლობდნენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფის, სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო საქმიანობის, პარტიული კომიტეტების ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც გამომდინარეობს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებებიდან.

მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ი. მარჩუკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები კ. მ. ბოგოლიუბოვი, ვ. ა. მედვედევი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ს. გუსტოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ა. ვორონინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების პირველი მოადგილეები ვ. ი. დრუგოვი, ვ. გ. ზახაროვი, ვ. პ. ისაევი, ე. ზ. რაზუმოვი, ო. ბ. რახმანინი, ი. ი. სკიბა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ს. ა. შალაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების მოადგილეები პ. ა. სმოლსკი, ვ. ფ. მოროზოვი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. მიშინი, ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნის" მთავარი რედაქტორი მ. ი. ხალდეევი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუნკოვი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის რექტორი რ. გ. იანოვსკი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. მ. როგანოვი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ნ. სტეპანოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ი. ბ. ბუგაევი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პროფესორები.

სწავლების პროცესში გაიმართა მუშაობის გამოცდილების ფართო გაზიარება. მსმენელები გაეცნენ ქ. მოსკოვის მთელი რიგი საწარმოების პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკას. (საკდესი).

მშვიდობისათვის, მომავალი თაობებისათვის

ახალგაზრდა თაობებს არა აქვთ იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ის, რომ გაერთიანებული ძალისხმევით იბრძვიან მშვიდობისათვის, ხალხთა ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში. ეს კეთილშობილური მიზანი აერთიანებდა საბჭოთა და ბერძენი ახალგაზრდობის მეგობრობის მეორე კვირეულის მონაწილეებს, რომელიც 27 ივნისს დაიწყო თბილისში.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალური ფორუმის მონაწილენი მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. აქ მათ გულთბილად მიესალმა ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე. მან სტუმრებს გააცნო ქართველი ერის ისტორია და კულტურა, ესაუბრა მიღწევებზე, რომლებიც საბჭოთა საქართველომ მოიპოვა ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, განათლების დარგში. ამხ. ენუქიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობის ცხოვრებას, თქვა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა აქვს კომკავშირთან.

საბერძნეთის დელეგაციის სახელით სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის ახალგაზრდობის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა იანის ნიკოლაუმ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღების, საინტერესო და შინაარსიანი საუბრისათვის. მან გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა და ბერძენი ახალგაზრდობის მეგობრული კონტაქტები და თანამშრომლობა, რომლებსაც კარგი ტრადიციები აქვს, კვლავაც წარმატებით განვითარდება საერთო მიზნის — ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ა. აქსიონოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გ. ლორთქიფანიძე, რესპუბლიკის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე რ. მ. ლომინაძე.

• • •

ამავე დღეს საბჭოთა და ბერძენი ახალგაზრდობის შეხვედრის მონაწილენი მიიღეს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა და ბერძენი ახალგაზრდობის მეგობრობის მეორე კვირეულის გახსნას. (საქინფორმი).

ცდებიან, სერიოზულად ცდებიან ბურჟუაზიული იდეოლოგები, როცა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურ პრინციპებს — პარტიის ეროვნული პოლიტიკის ამ უმნიშვნელოვანეს ასპექტს — სხვა ხალხთა „რუსიფიკაციის" იარაღს უწოდებენ. ცდილობენ რა „დაასაბუთონ" ეს თეზისი, ბურჟუაზიული იდეოლოგები უხეშად ამახინჯებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების შეხამების პარტიულ პრინციპს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი ინტერნაციონალურ ინტერესებს ეროვნულს უპირისპირებენ და მათ შეუთავსებელ კატეგორიებად თვლიან.

სოციალიზმისა და კომუნიზმისადმი სიძულვილი, ფინანსური მაგნატებისადმი მორჩილი დამოკიდებულება არ ანებებს ბურჟუაზიულ იდეოლოგებს, პარტიის ეროვნული პოლიტიკის ფალსიფიკატორებს სხვაგვარად წერონ და იაზროვნონ. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ სეტონ უოტსონი ასე გააფთრებით ესხმის თავს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნულ პოლიტიკას. თავის წიგნში „ერები და სახელმწიფოები", სადაც ერების წარმოშობისა და ნაციონალიზმის პოლიტიკის საკითხებს „იკვლევს", სეტონ უოტსონი ამტკიცებს, რომ „საბჭოთა იმპერია" „მეფის იმპერიის" გაგრძელებაა, რომ „საბჭოთა ნეოკოლონიალიზმის" პირობებში გამორიცხულია სოციალისტური ერების არსებობის შესაძლებლობა, რომ ჩვენს ქვეყანაში, როგორც ცარიზმის დროს, გრძელდება არარუს ხალხთა ექსპლოატაცია და ა. შ.

იმპერიალიზმის მეორე იდეოლოგი რ. პაიფსი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, თავის სტატიაში „ფიქრები საბჭოთა კავშირის ეროვნულ პრობლემებზე" ამტკიცებს, თითქოს მოსკოვი არასდროს არ ითვალისწინებს არარუს ხალხთა ეროვნულ ინტერესებს ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავებისას.

ბურჟუაზიული იდეოლოგები არ სჯერდებიან სკკპ ეროვნული პოლიტიკის ფალსიფიკაციას, „საქართველოს რუსიფიკაციის", „საქართველოს ნაციონალიზმის" შესახებ თითიდან გამოწოვილი „ცნობების" გავრცელებას, და როცა კი დროს იხელთებენ, ცდილობენ შებღალონ ქართველი ხალხის სახელი და ღირსება მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში.

ამ მხრივ თავგამოდებით „იღვწის" ბურჟუაზიული პრესის ერთ-ერთი ორგანო — გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი". ჯერ კიდევ 1976 წელს ეს გაზეთი წერდა: „ქართველები ძველებურად ცხოვრობენ, — ეწევიან თავისუფალ მეწარმეობას, მომხვეჭელობას და აშკარა ბიზნესს". ხოლო თვენახევრის შემდეგ მკითხველებს აუწყა, „მოსკოვი იბრძვის, რათა ქართველი ნაციონალისტები კარგ რუსებად გადააქციოს". ავტორი ვინმე ელიზაბეტ პონდი ამტკიცებდა, „საქართველო ცნობილია თავისი ნაციონალიზმით და დახლქვეშა ვაჭრობით", რესპუბლიკაში „ფართო კორუფციაა მოდებული", და „უდარდელი ქართველის ცხოვრებისეული პრინციპია: შენც იცხოვრე და სხვაც აცხოვრე".

ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი რობინ ნაიტი, რომელმაც კარგა ხანია გადალახა ყველა დასაშვებ ზღვარს თავისი „თხზულებებით", ისე გაკადნიერდა, რომ ამტკიცებს: „ქართველი ხალხი უკიდურესად ინდივიდუალისტურად არის განწყობილი", „დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე", „გამსჭვალულია კერძომესაკუთრული ტენდენციებით", „კერძო მეწარმეობა, რომელიც საბჭოთა კავშირში დანაშაულად ითვლება, თუ უცხო მუშახელის ექსპლოატაცია ხდება, აქ არათუ დარჩა, არამედ აყვავდა კიდეც" — წერს იგი. ეს წრეგადასული ჟურნალისტი, რომელიც შეერთებული შტატების რეაქციული წრეების მაამებლობის ჟინს შეუპყრია, ბევრ სხვა სიგლახესაც მიაწერს ქართველ ხალხს.

